

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №440

2017 წლის 26 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში (სსმ, №86, 15.07.2010 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველ მუხლში მოცემული ცხრილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

1. შპს „მტკვარი ენერჯი“	გარდაბნის თბოელექტროსადგური, №9 ენერგობლოკი	180	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე
-------------------------	--	-----	---

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

